საია აცხადებს ტენდერს აუდიო-ვიზუალური მომსახურების შესყიდვაზე

საქართველო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ფუნქციონირებს 1994 წლიდან.

ორგანიზაციის მისიაა ყველასთვის სამართლიანი გარემოს ფორმირება დემოკრატიული მექანიზმების გაუმჯობესების გზით.

ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებგვერდზე: http://www.gyla.ge

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

სატენდერო წინადადების გამოცხადების მიზანია, შევარჩიოთ იურიდიული/ფიზიკური პირები, რომელიც გაგვიწევს შემდეგ მოსახურებებს:

პრე-ფროდაქშენი: ბიუჯეტირება, ორიგინალური სცენარის შექმნა, ლოკაციის შერჩევა, ქოფირაითინგი (არსებული მასალის დამუშავება და კონტენტზე მორგება);

ფროდაქშენი: ვიდეო კონტენტის შექმნა, აუდიო კონტენტის შექმნა;

პოსტ-ფროდაქშენი: მონტაჟი, კორექცია, ფორმატის შერჩევა, ადაპტირებული ტიტრები.

სატენდერო წინადადება აუდიო-ვიზუალური მომსახურების შესყიდვაზე მოიცავს 4 ლოტს:

ლოტი 1 - ვიდეო კონტენტი.

რაოდენობა: 4

ხანგრძლივობა: 1-5 წუთამდე.

ლოტი 2 - აუდიო პოდკასტი.

რაოდენობა: 4

ხანგრძლივობა: 10-15 წუთი.

ვიდეო რგოლებისა და აუდო პოდკასტების მიზანია შექმნას ინფორმაციული ვიდეო/აუდიო მასალა, რომელიც აღწერს და გადმოსცემს სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ხელშესახები აქტივობების შედეგებს.

ლოტი 3 - ადაპტირებული ვიდეო ტიტრებით.

რაოდენობა: 2

ხანგრძლივობა: 1-5 წუთი.

ვიდეო რგოლის მიზანია:

· შშმ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ სამართალდამცავ

ორგანოებთან ურთიერთობისას;

· ხელი შეუწყოს კანონთან შეუსაბამო ქმედებების თავიდან აცილებას სამართალდამცავებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის ურთიერთობისას.

· გააძლიეროს ინფორმირებულობა სამართალდამცველებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციფიკური საჭიროებებისა და უფლებების შესახებ, რაც ხელს უწყობს უკეთ გაგებას და კომუნიკაციას.

ლოტი 4 - სოციალური ქსელების ფორმატზე მორგებული რილსი.

რაოდენობა: 5

ხანგრძლივობა: 1 წუთამდე.

ვიდეო რგოლების მიზანია:

· ახალგაზრდების ინფორმირება არჩევნების მნიშვნელობის შესახებ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

· ახალგაზრდებისათვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება ხმის მიცემის ფუნდამენტური უფლებისა და საარჩევნო პროცესის შესახებ.

· წაახალისოს ახალგაზრდების მონაწილეობა არჩევნებში და დაანახოს მათი ხმების როლი მომავლის ფორმირებაში.

ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ, როგორვ ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს, როგორც ერთ, ასევე ყველა ლოტზე.

აუცილებელი მოთხოვნაა - წარმოადგინოთ:

1. კომპანიის/ფიზ. პირის პორტფოლიო;

2. შესაბამისი ვიდეო/აუდიო პროექტების პორტფოლიო;

3. ხარჯთაღრიცხვა ერთ/ოთხივე ლოტზე.

4. სამუშაოს შესრულების ვადები და წარმოების საორიენტაციო გრაფიკი.

წინადადებები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

· კომპანიის/ფიზიკური პირის გამოცდილება;

· წინა ნამუშევრების ხარისხი და კრეატიულობა;

· ხარჯების ეფექტურობა;

· სამუშაოს შესრულების ვადები.

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინონ დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ელექტრონული ფორმით შემდეგ მისამართზე: GYLA@GYLA.GE .

გთხოვთ, დასახელებაში მიუთითოთ Ḍ□□□□□□□□□ წინადადება □□ წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი განაცხადი არგანიხილება.

ელექტრონული განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2023 წლის 25 სექტემებერი 18:00 საათი.

საია დაუკავშირდება მხოლოდ შერჩეულ კანიდადეტებს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისი, ჯ. კახიძის ქ. #15 ს.ი. 0102 ტელ.: (995 32) 2936101 / 2952353 (124) Email: GYLA@GYLA.GE Web: www.gyla.ge